



## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 42

2013 წლის 11 მარტი

ქალაქი ხაშური



ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობებისა და რეაბილიტაციის 2013 წლის საპროექტო წინადადებების განხილვის თაობაზე

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონალური პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ)“ ქვეპუნქტისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ)“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. მოწონებული იქნას ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების, სოფლების მაცხოვრებელთა საერთო კრებების ოქმების და ცალკეულ მოქალაქეთა კოლექტიური განცხადებების საფუძველზე შემუშავებული და წარმოდგენილი ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობების და რეაბილიტაციის 2013 წელში განსახორციელებელი საპროექტო წინადადებები დანართის შესაბამისად.

2. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების მე-2 მუხლის დ პუნქტის საფუძველზე საპროექტო წინადადებები წარედგინოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N 15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე

